



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49220281

თარიღი:28/01/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482202733; 27/01/2022) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების
გაერთიანება“

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
		53.0	
1	მმართველი	1.00	1500
2	მოადგილე	1.00	1000
3	საფინანსო ეკონომიკური და შესყიდვების კოორდინატორი	1.00	610
4	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი	1.00	550
5	იურისტი	1.00	610
6	პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი	1.00	610
7	ლოჯისტიკის მართვის კოორდინატორი	1.00	490
8	ბუღალტერი	1.00	610
9	სელექციის მენეჯერი	1.00	530
10	უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი	1.00	510
11	ექიმი	1.00	420
12	ექთანი	1.00	420
13	სანტექნიკ-ელექტრიკოსი	1.00	450
14	მასაჟისტი	1.00	420
15	ადმინისტრატორი	2.00	530
16	უსაფრთხოების მენეჯერი	1.00	430
17	დამლაგებელი	4.00	330
18	დარაჯი	3.00	330
	სარაგბო კლუბი "დინოზავრი"		
19	მთავარი მწვრთნელი	1.00	1100
20	უფროსი მწვრთნელი	1.00	510
21	მწვრთნელი 18 წ	1.00	430
22	მწვრთნელი უმცრ. ასაკი	1.00	430
	ხელბურთის კლუბი		
23	უფროსი მწვრთნელი	1.00	510
24	მწვრთნელი	1.00	430
	ფრენბურთის კლუბი		

25	უფროსი მწვრთნელი	1.00	510
26	მწვრთნელი	2.00	430
ფალავანთა კლუბი			
27	წამყვანი მწვრთნელ კოორდინატორი	1	750
ბ/რ ჭიდაობა			
28	უფროსი მწვრთნელი	1.00	510
29	მწვრთნელი	1.00	430
ძიუდო			
30	უფროსი მწვრთნელ- კოორდინატორი	2.00	590
31	მწვრთნელი	3.00	430
სპორტული სექციები			
კალათბურთი			
32	უფროსი მწვრთნელი	1.00	510
33	მწვრთნელი	2.00	430
მძლეოსნობა			
34	მწვრთნელი	1.00	430
მკლავჭიდი			
35	მწვრთნელი	1.00	430
კრივი			
36	მწვრთნელი	2.00	430
ქართული ჭიდაობა			
37	მწვრთნელი	1.00	430
ძალოსნობა			
38	უფროსი მწვრთნელი	1.00	510
39	მწვრთნელი	1.00	430
ჭადრაკი			
40	მწვრთნელი	1.00	430
მაგიდის ჩოგბურთი			
41	მწვრთნელი	1.00	430